THE OVERVIEW OF THE TRADITIONAL COSTUME OF ETHNIC, NATIONAL AND RELIGIOUS MINORITIES LIVING IN GEORGIA

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ტრადიციული სამოსის მიმოხილვა

GIORGI SORDIA
Doctor of History, Associate Professor at the University of Georgia
Address: 77A Merab Kostava St, Tbilisi, Georgia
599380137, giorgisordia@gmail.com, ORCID: 0009-0005-5663-9713

MERAB DATUASHVILI
Doctor of Engineering, Associate Professor at Akaki Tsereteli State University
Address: 59 Tamar Mefe St, Kutaisi, Georgia
595097222, Merab.datuashvili@atsu.edu.ge, ORCID: 0009-0006-7299-064X

VAZHA DATUASHVILI
International Republican Institute Georgia (IRI), Administrative and Program Associate,
Address: 73 Z. Paliashvili St, Tbilisi, Georgia
598913199, Vazha.datuashvili@tsu.ge, ORCID: 0009-0009-8444-4488

Abstract

The article is presented through the project "Study of the factors of formation and planning of traditional clothes of ethnic, religious and national minorities in Georgia (FR №–22–2598)" implemented by Akaki Tsereteli State University, funded by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. The project started in March 2023 and is being implemented by Akaki Tsereteli State University and the Center for the Study of Ethnicity and Multiculturalism (CSEM). The project consists of three components: (1) collecting and reviewing materials prepared by libraries, museums, and civil society organizations on the appearance and dispersion of minority groups in Georgia, (2) studying the traditional clothing, accessories, decorative elements, terminology, and design characteristics of minority groups, and (3) materializing information on the traditional clothing of ethnic, national, and religious minorities. **The project covers 12 target groups: Azerbaijanis, Armenians, Greeks, Germans, Kurds, Yezidis, Udis, Assyrians, Jews, Russians, Ukrainians, and Kists.**

The article provides general, basic information about the ethnic, national, and religious minorities living in Georgia. It also addresses issues such as the settlement of minority groups and their general demographic data. The focus is on the historical, demographic, and migratory processes that have shaped the ethnic composition of modern Georgia. Additionally, it discusses aspects related to the cultural identity of ethnic minorities living in Georgia and provides samples of traditional clothing. Regarding the latter, the article provides illustrations, which were obtained as a result of expeditions around Georgia, as well as those found as a result of the analysis of old historical and ethnographic books. The given photo material and illustrations clearly show the samples of traditional clothing of the above-mentioned groups in a number of cases directly in Georgia and also in the Caucasus region in general.

Keywords: ethnic minority; religion; culture; cultural diversity; traditional costume.

გიორგი სორდია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
მისამართი: მერაბ კოსტავას ქუჩა #77ა, თბილისი, საქართველო
599380137, giorgisordia@gmail.com, ORCID: 0009-0005-5663-9713

მერაბ დათუაშვილი

ინჟინერიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
მისამართი: თამარ მეფის ქუჩა #59, ქუთაისი, საქართველო
595097222, Merab.datuashvili@atsu.edu.ge, ORCID: 0009-0006-7299-064X

ვაჟა დათუაშვილი

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი საქართველო (IRI)
პროგრამის ასისტენტი,
მისამართი: ზაქარია ფალიაშვილის #73, თბილისი, საქართველო
598913199, Vazha.datuashvili@tsu.ge, ORCID: 0009-0009-8444-4488

აბსტრაქტი

მოცემული სტატია შესრულებულია შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ტრადიციული სამოსის ფორმირების ფაქტორებისა და დაგეგმარების თავისებურებების კვლევა საქართველოში“ ფარგლებში (FR №–22–2598), კერძოდ პირველ წელს შესრულებული ექსპედიციების და კვლევითი სამუშაოების საფუძველზე.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2023 წლის მარტის თვიდან და მის განხორციელებაში ჩართულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი (CSEM). პროექტი ითვალისწინებს სამ კომპონენტს: (1) უმცირესობების ჯგუფების საქართველოში გამოჩენის, დისლოკაციის შესახებ საბიბლიოთეკო, სამუზეუმო, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ მომზადებული მასალების მოძიება და გაცნობა, (2) უმცირესობების ჯგუფების ტრადიციული სამოსის, აქსესუარების, გასაფორმებელი ელემენტების, ტერმინთა და დაგეგმარების თავისებურებების კვლევა, (3) ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ტრადიციულ სამოსზე ინფორმაციის მატერიალიზაცია. პროექტი ფარავს 12 სამიზნე ჯგუფს: **აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები, გერმანელები, ქურთები, იეზიდები, უდიები, ასურელები, ებრაელები, რუსები, უკრაინელები და ქისტები.** საინფორმაციო ბუკლეტი მოიცავს ზოგად, საბაზისო ინფორმაციას საქართველოში მცხოვრები პროექტის სამიზნე ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების შესახებ. ასევე, ისეთ საკითხებს, როგორიცაა უმცირესობების ჯგუფების განსახლება და მათი ზოგადი დემოგრაფიული მონაცემები. ყურადღებაა გამახვილებული ისტორიულ, დემოგრაფიულ და მიგრაციულ პროცესებზე, რამაც განაპირობა თანამედროვე საქართველოს ეთნიკური სურათის ფორმირება. განხილულია ასევე საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურულ თვითმყოფადობასთან დაკავშირებული საკითხები და ტრადიციული სამოსის ნიმუშები. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით სტატიაში მოცემულია ილუსტრაციები, რომელიც როგორც ექსპედიციების შედეგად იქნა მოპოვებული, ასევე ძველი ისტორიული წიგნების ანალიზის შედეგად

მოძიებული. მოცემული ფოტო მასალა და ილუსტრაციები თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ზემოხსენებული ჯგუფების ტრადიციული სამოსის ნიმუშებს რიგ შემთხვევებში უშუალოდ საქართველოში და ასევე ზოგადად კავკასიაში.

საძიებო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობები; რელიგია; კულტურა; კულტურული მრავალფეროვნება; ტრადიციული სამოსი.

შესავალი

საქართველო ისტორიულად ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნებით გამორჩეული ქვეყანაა. საუკუნეების განმავლობაში ქვეყანაში დასახლებული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული საზოგადოების ფორმირებაში. მათი ტრადიციები, კულტურული მემკვიდრეობა და სამოსის თავისებურებები უნიკალურ მონაცემებს გვაძლევს საქართველოს ეთნიკური ისტორიის შესასწავლად. მოცემული კვლევა მიზნად ისახავს ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ტრადიციული სამოსის ფორმირების ფაქტორების შესწავლას, მათი კულტურული თვითმყოფადობის განსაზღვრასა და აღნიშნული მახასიათებლების დაცვას. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისტორიულ და მიგრაციულ პროცესებს, რომლებმაც გავლენა მოახდინა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ტანსაცმლის ფორმირებასა და ტრანსფორმაციაზე. კვლევის ფარგლებში განხილულია 12 სამიზნე ჯგუფი, რათა გამოვიკვლიოთ მათი ტრადიციული სამოსის ფორმირების ისტორიული, სოციალური და კულტურული საფუძვლები.

სტატიის შედგენის ასპექტში, კვლევის ეტაპზე, ყურადღება გამახვილდა შემდეგ ძირითად კომპონენტზე:

1. ბიბლიოთეკებში, სამხარეო მუზეუმებში დაცული და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ მომზადებული მასალების მოძიება და გაცნობა, რომელიც ეხება ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების გამოჩენას და დისკოლაციას საქართველოში;
2. კვლევით ნაშრომებში და ლიტერატურულ წიგნებში არსებული ტრადიციული სამოსის ფოტო მასალისა და ტერმინთა განმარტების მოძიება და დამუშავება;
3. ეთნიკური უმცირესობების ტრადიციული სამოსის, აქსესუარების, გასაფორმებელი ელემენტების, ტერმინთა და დაგეგმარების თავისებურებების კვლევა, რომელიც მოიცავს ექსპედიციებს და ადგილზე სხვადასხვა ჯგუფებთან ვიზიტებს;
4. ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ტრადიციულ სამოსზე ინფორმაციის მატერიალიზაცია, რაც გულისხმობს საინფორმაციო ბუკლეტების, ესკიზური ჩანახატებისა და სხვა მასალების შექმნას.

კვლევის მეთოდები: კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებებში დამკვიდრებული კვლევის მეთოდები. ეს მეთოდებია: აბსტრაქცია-განზოგადების მეთოდი; სისტემური ანალიზი; საველე და საარქივო მუშაობის პროცესში აპრობირებული კრიტიკული ანალიზის მეთოდი; შედარებით-ისტორიული მეთოდი.

კვლევის შედეგები

პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შედეგად მოპოვებული იქნა დეტალური ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ტრადიციული სამოსის შესახებ. კვლევამ აჩვენა, რომ თითოეული ეთნიკური ჯგუფის ტრადიციული სამოსი განსხვავებული ისტორიული, კულტურული და სოციალური ფაქტორების გავლენით ჩამოყალიბდა. მაგალითად, აზერბაიჯანელთა ტრადიციული სამოსი ევროპული სტილის ელემენტებს ითვალისწინებს, ხოლო სომხური სამოსი თურქული და ქართული გავლენების შედეგად უფრო განსხვავებულია. ბერძნების სამოსი კი პონტოელი ბერძნების კულტურულ მემკვიდრეობას ასახავს.

კვლევის დროს ასევე დაფიქსირდა, რომ ზოგი ჯგუფის ტრადიციული სამოსი თანდათან ქრება და მისი შენარჩუნება მნიშვნელოვანი კულტურული ამოცანაა. აგრეთვე დაფიქსირდა, რომ ზოგი ჯგუფის ტრადიციული სამოსი, ახლანდელ რეალობაში, მხოლოდ სარიტუალო ფუნქციისაა და ძირითადად, მხოლოდ, ამ კონკრეტულ ვითარებაში გამოიყენება.

კვლევის შედეგები ასახულია ეთნიკური უმცირესობების განსახლების რუკაზე, რომელიც ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის მიერ მომზადდა. რუკაზე ნაჩვენებია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ეთნიკური ჯგუფების განაწილება, რაც საშუალებას იძლევა უკეთ გაიგოთ ეთნიკური მრავალფეროვნების გეოგრაფიული კონტექსტი.

მსჯელობა/დისკუსია

უმცირესობათა ჯგუფების განსახლება საქართველოში

სანამ უშუალოდ განვიხილავთ საქართველოს რომელ კონკრეტულ ლოკაციებზე არიან უმცირესობათა ჯგუფები დაფუძნებული, მანამდე ნიშანდობლივი იქნება, ზოგადად, განვმარტოთ თუ რას ითვალისწინეს ტერმინი „უმცირესობა“. სამართლის დოქტრინა, სამწუხაროდ, „უმცირესობის“ განმარტებას არ ითვალისწინებს. ეს მოიცავს როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივი სამართლებრივ დოკუმენტებს. თუმცა მნიშვნელოვანი იქნება აღვნიშნოთ, რომ ტერმინ „უმცირესობას“ სხვადასხვა კონტექსტში მოიხსენიებს სხვადასხვა საერთაშორისო დონის სამართლებრივი შეთანხმება. გამოსარჩევია გაეროს ,,სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი, ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის განმარტება და გაეროს 1992 წლის დეკლარაციის პირველი მუხლი. ამასთან ასევე ღირებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვით, *,,უმცირესობა არის სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობაზე რიცხობრივად მცირე ჯგუფი, რომელსაც არ უკავია გაბატონებული პოზიცია და რომლის წევრებს ახასიათებთ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ნიშნები, რომლებიც მას სხვებისგან განასხვავებენ და გამოხატავს საკუთარი კულტურის, ტრადიციების, რელიგიის და ენის შენარჩუნებისაკენ მიმართულ სოლიდარობის გრძნობას.“*

ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება საქართველოს ყველა კუთხისთვის დამახასიათებელი მოცემულობაა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამორჩეულია დედაქალაქი - თბილისი და სამხრეთ საქართველოს ორი რეგიონი - ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. ეთნიკური ჯგუფები მრავალრიცხოვან და კომპაქტურ დასახლებებს ქმნიან ასევე კახეთის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს საქართველოს ეთნიკური გეოგრაფიის აღწერას სწორედ

ამ რეგიონების მიხედვით (სხვა რეგიონებში - გურია, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი და აჭარა - უმცირესობები შედარებით მცირე რაოდენობით და გაფანტულ მდგომარეობაში არიან წარმოდგენილი. ანგარიშში ასევე ასახული არ არის აფხაზეთისა და შიდა ქართლის ის ნაწილი, რომელიც სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქს მოიცავს, რადგან ოკუპაციის პირობებში ამ რეგიონების შესახებ სანდო და რეალური მონაცემების მოპოვება გართულებულია). საქართველო ეთნიკური მრავალფეროვნებით გამორჩეული ქვეყანაა. ეთნიკური უმცირესობები კი ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. ასეთი კულტურული სიჭრელე და მრავალფეროვნება კი საუკუნეების მანძილზე მიმდინარე სხვადასხვა მიგრაციული პროცესების შედეგია. განსხვავებული ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების შემოსვლა საქართველოში უძველეს ხანაში დაიწყო, რომელიც თითქმის ჩვენს დრომდე გრძელდება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საისტორიო წყაროების მონაცემთა ანალიზი.

აზერბაიჯანული ეთნოსი - აზერბაიჯანული ეთნოსის წარმოშობა კავკასიაში უკავშირდება თურქულენოვანი ტომების გამოჩენას ძვ. წ. IV საუკუნიდან. მათი მიგრაცია განსაკუთრებით გაიზარდა შაჰ-აბასის მმართველობისას, რომელმაც ლორეს სახანოში და კახეთში თურქულენოვანი ტომები ჩამოასახლა.

1959 წელს საქართველოში 153.6 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობდა, 2014 წლის მონაცემებით კი მათი რიცხვი 233 ათასს მიაღწია, რაც მათ ქვეყნის ყველაზე დიდ ეთნიკურ უმცირესობად აქცევს. ქართული ენის ცოდნის ნაკლებობა მათთვის კვლავ გამოწვევად რჩება. აზერბაიჯანელთა ტანსაცმელი საუკუნეების განმავლობაში სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს ეხმიანებოდა. ქალის ტრადიციული სამოსი მოიცავდა ქვედა და ზედა კაბას, ჩადრს, სამკაულებს, ხოლო მამაკაცები ატარებდნენ საცვალს („კეინეკი“), შარვალს, ახალუხსა და ჩოხას („ჩუხუ“), ასევე ქუდს („ფაფახი“). დღეს ევროპული სტილი ტრადიციულ ელემენტებს ურევს, ჩადრი კი თავსაფარმა შეცვალა, რაც ქალებისთვის მნიშვნელოვანი ატრიბუტია *(გერმანელი მხატვრისა და გრავიორის, არტურ ვანიურას ილუსტრაცია, თბილისელი მუსლიმი ქალების გამოსახულებით, ქალთა ცხოვრება დედამიწაზე, 1881 წ.).*

სომხური ეთნოსი - სომხური ეთნოსის ისტორია საქართველოში ძვ. წ. II საუკუნიდან იწყება და მრავალწლიან კულტურულ და პოლიტიკურ კავშირებს მოიცავს. მიგრაციის პროცესმა XIX საუკუნეში იმპერიული პოლიტიკისა და ოსმალეთთან კონფლიქტების ფონზე მნიშვნელოვნად იმატა, რამაც სომეხთა რაოდენობის ზრდა გამოიწვია. 2014 წლის მონაცემებით, საქართველოში 168 ათასი სომეხი ცხოვრობს, ძირითადად სამცხე-ჯავახეთში. სომეხთა ტანსაცმელი საუკუნეების განმავლობაში სოციალურმა და

კულტურულმა ცვლილებებმა განსაზღვრა. სოფლებში XX საუკუნის შუა ხანებამდე შემორჩა ტრადიციული სამოსი, რომელზეც თურქული და ქართული გავლენა იგრძნობოდა. მამაკაცები ატარებდნენ უსაყელო პერანგს („შაპიკ“), სატინის სამოსს, ახალუხსა და გრძელ ჩოხას. ტყავის ვიწრო ქამრები, ხშირად ოქროთი ან ვერცხლით მორთული, განსაკუთრებულად პოპულარული იყო თბილისელ კინტოებში *(ფრედერიკ შობერლის მინიატურა წიგნიდან, სამყარო მინიატურაში: სპარსეთი, ლონდონი: დაბეჭდილი რ. აკერმანისთვის, ხელოვნების საცავი, 1822 წ).*

ქალების სამოსი მოიცავდა გრძელ კაბებს („ხალავ“) და ფერად პერანგებს („კრცკალ“), რომლებიც მდიდრულად იყო მორთული. სამცხე-ჯავახეთის სომხურ დასახლებებში შემორჩენილია ტრადიციული სამოსის სხვადასხვა ვერსიები, რომლებიც ქორეოგრაფიულ ანსამბლ "ჯავახკი"-ს მიერაა შეკერილი. ანსამბლის სამკერვალო ოთახში შექმნილი სამოსი ასახავს სომხურ კულტურულ მემკვიდრეობას და განახლებული ფორმით ინარჩუნებს ტრადიციებს.

ქალაქებში XIX საუკუნეში სომხური სამოსი ევროპული სტილისკენ გადახრილიყო. თუმცა ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხების ტანსაცმელი თურქულთან შედარებით განსხვავდებოდა: მამაკაცები ატარებდნენ ჟილეტს („ელაკ“) და მოკლე ქურთუკს („ვარტიკ“), ხოლო ქალები მდიდრულად მორთული სამკაულებით გამოირჩეოდნენ.

სამცხე-ჯავახეთის მუზეუმებისა და ხელოვნების ცენტრების კვლევა აჩვენებს ტრადიციული სამოსის მრავალფეროვნებას და მის სიღრმისეულ კულტურულ მნიშვნელობას *(ფოტო: დათუაშვილი. ვ, კვლევის ფარგლებში ჩატარებული ექსპედიციის ფარგლებში, ცეკვის ანსამბლი „ჯავახკი“, ახალქალაქი, 2023 წ.).*

ბერძნული ეთნოსი - საქართველოში მცხოვრები თანამედროვე ბერძნები, უმთავრესად ე.წ პონტოელი ბერძნები არიან. რომლებიც ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებიდან გადმოსახლდნენ. მათი პირველი დასახლებები საქართველოში მე-18 საუკუნეში გაჩნდა, როდესაც ახტალის სპილენძის ვერცხლის და ოქროს საბადოების დასამუშავებლად ერეკლე მეორემ აღმოსავლეთ ანატოლიდან ბერძენი მუშები და

ხელოსნები მოიწვია და სოფელ მისხანში დაასახლა. რუსეთ-ოსმალეთის 1828-29 წლების ომის შედეგად ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ვილაითებიდან ქრისტიანული მოსახლეობის დიდი მასა, ძირითადად სომხები და ბერძნები სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გადმოსახლდა. ძირითადი მიზეზი ქრისტიანული რელიგიის დევნა იყო, ძირითადად წალკის რაიონში დასახლდნენ. 1926 წელს საბჭოთა საქართველოში 54 ათასი ბერძენი ცხოვრობდა (2%). 2014 წლის მონაცემებით - 5.5 ათასი. სამოსი - საქართველოში მცხოვრებმა ბერძნებმა (აფხაზეთში და აჭარაში) შემოინახეს ძველი ტანისამოსის ელემენტები. მამაკაცის ტანისამოსიდან შეიძლება გამოვყოთ „ზიპუნი“ ან „ენტერი“ (ზედატანის სამოსი), „გელანი“ (თბილი ჟილეტი ან მოკლე თბილი პიჯაკი, ფართო შარავარი, ხოლო ქალის ტანსაცმელში - „ხიტონი“. წარსულში ურუმები კაბის ნაცვლად ხელნაკეთი მაუდისგან შეკერილ „ჩხუს“ ატარებდნენ, პიჯაკის ნაცვლად - არხალუხს, შარვლის ნაცვლად - ფართო შარავარს. ფეხთ ემოსათ შალის მოხატული ნაქსოვი წინდები და მოქნილი ტყავის ფეხსაცმელი - „ჩარუზი“, თავზე ცხვრის ტყავის ფაფახი *ეხურათ (Les nations. Album des Costumes De Tous les Pays. Par Alexandre Lacauchie, Paris. Maison Martinet. Haute Cœur frères 41, Rue Vivienne et 146, Rue de Rivoli 1850s,).*

გერმანელი ეთნოსი - გერმანელები (თვით სახელწოდება: deutche; ქართულად germanelebi) საქართველოში ძირითადად XIX საუკუნის დასაწყისიდან ცხოვრობენ. საქართველოსა და გერმანიას შორის დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების დიპლომატიური მისი ვაჟისა და თამარ მეფის (მეფობა 1184-1213 წწ.) ქორწინების შესახებ. ქართველ და გერმანელ ხალხს შორის ურთიერთობა უფრო მჭიდრო გახდა მას შემდეგ რაც 1817 წლიდან გენერალ ერმოლოვის მმართველობის დროს ხელისუფლებამ მე-18 საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში გერმანელი „კოლონისტების“ ჩამოასახლა. 1848 წლამდე გერმანელთა დასახლებები საქართველოში მოიხსენიებოდა როგორც „საქართველოს გერმანული კოლონიები.“ *(Europa. Eine allgemeine Landeskunde von Alfred Philippson und eine große Auswahl von Leipzigund Wien, Bibliographisches Institut, 1897.).*

მე-19 საუკუნის 80-იან წლებამდე „კოლონისტები“ ტიპურ შვაბურ ტანსაცმელს ატარებდნენ. ამ პერიოდიდან მოყოლებული კი გერმანელებმა დაიწყეს იმდროინდელ ქალაქებში გავრცელებულ ევროპული სამუშაო და სადღესასწაულო კოსტიუმების ჩაცმა. 1926 წელს თბილისში გერმანელთა რაოდენობა იყო 3 156. სტალინის მმართველობის პერიოდში გერმანელებს მტრის იარლიყი მიაწებეს და სხვა „არა საიმედო“ ეთნიკურ ჯგუფებთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ აღმოჩნდნენ. სხვადასხვა მონაცემებით 1941 წელს საქართველოდან 24 000 -მდე გერმანელი გადაასახლეს. 2014 წლის მონაცემებით გერმანელთა რაოდენობა საქართველოში - 438 ადამიანი.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული ექსპედიციით პროექტის გუნდი ეწვია საქართველოს გერმანელთა ასოციაცია „აინუნგის“ პრეზიდენტ გარი აუგსტის. ვიზიტის დროს მიმოვიხილეთ გერმანელი ეთნოსის საქართველოში გამოჩენის ისტორიული მოვლენები, თუმცა, სამწუხაროდ, გერმანელი ეთნოსის სამოსის ნიმუშებს საქართველოში ვერ მივაკვლიეთ. თუმცა, აქვე გიზიარებთ ლაიფციგის 1897 წლის გერმანელთა ჩაცმულობას ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის ლითოგრაფიიდან.

ეზიდები და ქურთები - დღეისთვის ეზიდთა საერთო რიცხვი მილიონს აღწევს, მათი ძირითადი ნაწილი ისტორიულ სამშობლოში ჩრდილოეთ ერაყში ცხოვრობს. ეზიდები ცხოვრობენ საქართველოსა და სომხეთში სადაც მე-19 საუკუნის დასაწყისიდან 1918 წლამდე ოსმალეთის იმპერიიდან რამდენიმე ეტაპად გადმოსახლდნენ, რომელიც განპირობებული იყო ოსმალეთის იმპერიაში მუსლიმი მოსახლეობის კერძოდ კი, ქურთი ბეგებისა და თურქი ფაშების მიერ ეზიდების დევნამ განაპირობა. 1926 წლის აღწერით საქართველოში 2262 ეზიდი ცხოვრობდა (0.08%) რაც შეეხება ქურთებს 7955, 0.03 %. 2014 წლის აღწერით 12174 (0.3%) ეზიდი, და 1596 (0.04 %) ქურთი. უკვე მე-19 საუკუნის /სუა პერიოდი თბილისში, ავლაბარში ეზიდური უბანია ნახსენები. აღსანიშნავია, რომ 1919 წელს, საქართველოს პირველ რესპუბლიკაში ოფიციალურად დარეგისტრირდა მსოფლიოში პირველი ეზიდური ორგანიზაცია „ეზიდთან ეროვნული საბჭო“. საქართველო მათთვის ახალ სამშობლოდ იქცა.

ქურთი ქალის მოცემული ილუსტრაცია ავსტრიელი მოგზაურისა და ეთნოგრაფის ამანდ ფონ ლერხენფელდის წიგნიდან „ქალები აღმოსავლეთის ქვეყნეში“ (1904) არის აღებული *(Antoin Sevruguin, The 'Juive' wife of a Kurdish chieftain, Memont Bement Smith Collection, Arthur M. Sackler Gallery Archives, Smithsonian Institution, Washington D.C. 1890-95.).* წიგნში დაწვრილებით არის მიმოხილული როგორც ახლო, ასევე შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალთა მდგომარეობა, მათი ადგილი და მონაწილეობა საზოგადოებრივ ურთიერთობებში. ხოლო მეორე ფოტო არის ორი ქურთი სომეხ კათოლიკე სასულიერო პირთან ერთად. Les Costumes Populaires De La Turquie-დან, 1873 წელი, გადაღებული ფრანგი ფოტოგრაფის მიერ *(From Les Costumes Populaires De La Turquie, 1873, taken by French photographer Pascal Sebah at the universal exposition, Two Kurds with an Armenian Catholic cleric (middle), Vienna, 1873.).*

2011 წელს ეზიდთა სახლის შექმნასთან ერთად ეზიდი სასულიერო პირისა და აღმოსავლეთმცოდნის დიმიტრი ფირბარის ინიციატივით შეიქმნა რელიგიური ორგანიზაცია - საქართველოს ეზიდთა სასულიერო კრება. კვლევის ფარგლებში პროექტის გუნდი ეწვია თბილისში ეზიდების კულტურის ცენტრს და დიმიტრი ფირბარს, რომელიც არის საქართველოს სათემო ცენტრი "საქართველოს ეზიდთა სახლი"-ს დამფუძნებელი. მოცემულ ცენტრში ინახება ეზიდთა ტრადიციული სამოსის რამდენიმე ნიმუში, რომელიც ამავე წლის ზაფხულში ცენტრის ეგიდით შექმნილ ეზიდთა მუზეუმში უნდა გამოიფინოს.

უდიები - უდიები ცხოვრობენ კახეთში ყვარლის რაიონის სოფელ ზინობიანში. უდიები 1920-22 წლებში ზინობი სილიკაშვილის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანიდან გადმოვიდნენ. 1926 წელს საქართველოში ცხოვრობდა 5 უდი, 2014 წელს - 174. ძირითადად სოფელ ზინობიანში უდიურ დამწერლობას (ანუ ალბანურს) სამეცნიერო ლიტერატურაში მიაკუთვნებენ წაუკითხავ წარწერებს საქართველოსა და აზერბაიჯანში, დაღესტანში. უდიური ანბანი შედგება 52 ნიშნისგან, იკითხება მარცხნიდან მარჯვნივ, უდიები მე-4 საუკუნეში გაქრისტიანდნენ, თუმცა მე-7 საუკუნეში არაბთა მიერ თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიის დაპყრობის შემდგომ არა მხოლოდ უდიებმა, სხვა ადგილობრივმა მოსახლეობამ, ისლამი მიიღეს. დღევანდელობაში საქართველოში მცხოვრები უდიები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მიაკუთვნებენ თავს. ასევე მართლმადიდებლები არიან აზერბაიჯანში სოფელ ვართაშენში მცხოვრები უდიები.

სამოსი - უდი მამაკაცის ტრადიციული სამოსია შარვალი, ჩოხა ახალუხი, ტყავის ან ვერცხლის ქამრით, ფეხსამოსი ჩექმა ან ტყავის ქალამანი, თავსაბურავი - ცხვირს ბეწვის ქუდი - „ფაფახი“ ან „დინდა“ (ყაბალახის მსგავსი) *(ნიკოლაი ტოწკოინოვი, უდი ვართაშენიდან ფოტო/photo: The photo archive of Ruzanna Poladova via Vladislav Dabakov and Oghuz Historicial, XX საუკუნის დასაწყისი.).* უდი ქალის ტანსაცმელი შედგებოდა გრძელი პერანგისგან („გურატ“) და მიწამდე დამშვენებული ფართო, წითელი შარვლისგან („ხოლოს“). მის ზევით იცვამდნენ თეძოებიდან ნაოჭასხმულ, ახალუხის მსგავს „კავაის“ გრძელი, მუხლებამდე დაშვებული, ვერხლის ღილებითა და მონეტებით მორთული, ბოლოებჩაჭრილი სახელოებით. „კავაის“ შალის ნაჭრით ან ვერცხლის ქამრით

იკერავდნენ. „კავაის“ ქვემოთ ატარებდნენ წინსაფარს, რომლიც მკერდს ზემოთ იწყებოდა და მუხლებთან მთავრდებოდა. ახალგაზრდების „ კავაი“ ღია ფერისა იყო, ხანდაზმულებისა - მუქი. ფეხზე იცვამდნენ ქოშებს - „ლალაკანი“ *(ფოტო: ალექსანდრე როინაშვილი (როინოვი), უდი ქალი ტრადიციულ სამოსში, სავარაუდოდ - სოფ. ვართაშენი, XIX საუკუნე.).* თავსაბურავი მრავალფეროვანი ელემენტებისგან შედგებოდა: შავი მოსახვევის - „მანც ჩარაგატ“ ზემოდან პერანგის ბოლომდე ეშვებოდა წითელი ფერის ჰაეროვანი ქსოვილის, ხოლო მოსახვევის ქვემოდან, თავის ორივე მხარეს, ყურს ზემოდან,

მკერდზე - ვერცხლის მონეტებით, მარგალიტებითა და სხვა თვლებით მორთული ქსოვილი. ქალი ქორწინებისას სახეს იბურავდა „იეშმაღით“ რომლის ქვემოდა მხოლოდ ცხვირი და თვალები უჩანდა. „იეშმიღი“ ქალს მთელი ცხოვრება უნდა ეტარებინა, თუნდა, სახე დაფარული აღარ უნდა ჰქონოდა. კვლევის ფარგლებში პროექტის გუნდი ეწვია სოფელი ზინობიანის საქართველოს უდიების მუზეუმს.

ასურელები - საქართველოში ასურელთა ცხოვრების პირველ კვალს „ქართლის ცხოვრებაში“, ლეონტი მროველის თხზულების თქმულებაში, ვხვდებით. ადრეულ შუა საუკუნეებში ასურელი მამების სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დაწყება და განვითარება. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანული თემები, მათ შორის ასურელები, მფარველად ქართულ სახელმწიფოს მიიჩნევდნენ. სავარაუდოდ მუსლიმთა მიერ შევიწროებული ასურელების მცირე ტალღა იმ პერიოდში ჩასახლდა აღმოსავლეთ საქართველოში. *(ფოტო მოპოვებულია ეკატერინე ბიტკაშისა და ლუდმილა ბიტკაშის საოჯახო ფოტო არქივიდან, ანსამბლის „ნინევია“, 1980-90 იანი წლები.)* მე-18 საუკუნის მე-2 ნახევარში ერეკლე მეორის ინიციატივით ახლო აღმოსავლეთიდან ქურთული და ასურელთა ოჯახები კახეთში ჩაასახლეს. მოგვიანებით კი დასავლეთ საქართველოში. 1860 იან წლებში ასურელების ჯგუფი დღევანდელი გარდაბნის რაიონის ადგილზე განსახლდნენ და სოფელი ვასილევკა დაარსეს. 1917 წელს თბილისში ჩამოყალიბდა „ასურელი სოციალისტური პარტია“ და ასევე „თავისუფალი ასურელი კავშირის

გაერთიანების ურმიის მანიფესტი“ *(ფოტო: დათუაშვილი. ვ, კვლევის ფარგლებში ჩატარებული ექსპედიციის ფარგლებში, ბიტკაშების ოჯახი, თბილისი, 2023 წ.).* 1926 წელს მათი საერთო რაოდენობა საქართველოში იყო 2904 (0.01%), 2014 წლის მონაცემებით კი - 2377, ძირითადად თბილისში. საქართველოში მცხოვრებმა ასურელებმა სწრაფად აითვისეს ადგილობრივი კულტურის ელემენტები. ნაგებობების ასაშენებლად ისინი ქართული მშენებლების გამოცდილებასა და გემოვნებას იზიარებდნენ. აქ მცხოვრებ ასურელთა დიდი ნაწილი მართმადიდებელია. აღსანიშნავია საქართველოს ასურელთა საერთაშორისო

კონგრესი, რომელიც 1992 წლიდან მოქმედებს და 2008 წელს დაფუძნებული „ასურული ახალგაზრდული ორგანიზაცია ნინევია საქართველოში“ რომლის მიზანია ახალგაზრდების ინტეგრაცია და კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებში ცნობიერების ამაღლება. კვლევის ფარგლებში პროექტის გუნდი სწორედ ორგანიზაცია ნინევიას და ბიტკაშების ოჯახს ეწვია სადაც ინახება ასურელების ტრადიციული სამოსის ნიმუშები.

ებრაელები - 1926 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით საქართველოში 30,5 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, მთლიანი მოსახლეობის 1.15%. 2014 წლის აღწერით კი საქართველოში 1.4 ათასი (0.04%). ძირითადად დიდ ქალაქებში, თბილისში ქუთაისში, გორში და ბათუმში, რუსთავში ცხოვრობენ. ებრაელთა პირველი გამოჩენა საქართველოში გვიან ანტიკურ ხანაში უნდა მომხდარიყო, ხოლო შემდეგ ეტაპობრივად ხდებოდა მათი შემოსვლა. ვარაუდობენ რომ მე-10 საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე სლავი ტომებისგან დევნილი ხაზარი ებრაელების ერთი ნაწილი დაბინავდა. მე-17 საუკუნიდან ოსმალეთის იმპერიიდან ახალციხეში სეფარდი ებრაელები გადმოსახლდნენ. მე-19 საუკუნის დამდეგს კი ოსმალეთიდან არამეელი ებრაელები (ლახლუხები) ჩამოვიდნენ. ევროპელი ებრაელები აშკენაზები კი საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისში გამოჩნდნენ.

მე-13 საუკუნეში ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო აღწერს მონღოლების უღელქვეშ მოქცეულ თბილისს: საქართველოში არის მშვენიერი საკმაოდ დიდი ქალაქი „ტიფლისი“. მოსახლეობა ძირითადად ქრისტიანია, ქართველების გარდა ცხოვრობენ სომხებიც, არიან მცირე რაოდენობით ებრაელები და სარაცინები. მე-19 საუკუნის დამდეგს საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და ბატონყმობის გაუქმების შემდგომ ებრაელთა მდგომარეობა გაუარესდა, რადგან რუსეთმა უმიწაწყლოდ დარჩენილი ებრაელები კანონგარეშედ გამოაცხადა *(The Universal Geography: The Earth and its Inhabitants. Edited by A. H. Keane. London: J. S. Virtue & Co., Limited. Vol. VI. 1881).* ფეოდალიზმის ხანაში ქართველ ებრაელთა უფლებრივი მდგომარეობა ქართველ მოსახლეობის ანალოგიური იყო. ებრაელები ყველა იმ უფლებებით სარგებლობდნენ რითაც ქრისტიანული მოსახლეობა. ებრაელები უახლოეს წარსულში, 1918 წელს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტის ფორმირებაშიც მონაწილეობდნენ. პირველ ქართველ პარლამენტართა შორის აბრამ ბუზიაშვილი და მოსე დავარაშვილიც იყვნენ. ბატონყმური ურთიერთობებიდან თავისუფალ მდგომარეობაზე გადასვლამ საბოლოოდ ჩამოაყალიბა ქართული ებრაული თემის სტრუქტურა.

უკრაინელები - უკრაინელები საქართველოს ტერიტორიაზე მცირე რაოდენობით პირველად მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში დასახლდნენ როდესაც რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ დაუმორჩილებლობის გამო დაშალა „ზაპოროჟიე სეჩი“, რის შედეგადაც ბევრი კაზაკი იძულებული გახდა იმპერიის სამხრეთი ტერიტორიებისკენ გაქცეულიყო. ამის შედეგად ზოგიერთი მათგანი საქართველოში აღმოჩნდა. მე-19 საუკუნის დამდეგს საქართველოში რუსული სამხედრო ნაწილები ჩამოასახლეს, მათ შორის იყვნენ უკრაინელებიც. უკრაინელების საქართველოში დასახლებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შავ ზღვაზე ნაოსნობის განვითარებამ, ახალი პორტების, რკინიგზისა და კურორტების მშენებლობამ, რაც უკრაინელებს დასაქმების შესაძლებლობას აძლევდა. 1887 წელს საქართველოში დაახლოებით 8.5 ათასი უკრაინელი ცხოვრობდა. 1926-39 წლებში საქართველოში უკრაინელების რიცხვი 46 ათას ადამიანს უტოლდებოდა. 2014 წლის აღწერით კი 6034 უკრაინელი. უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე კი დამატებით 30 000 უკრაინელია კიდევ საქართველოში. პროექტის გუნდი კვლევის ფარგლებში ეწვია თბილისში უკრაინულ სახლს, რომლის ორგანიზატორია სათემო ორგანიზაცია „ქართულ-უკრაინული პლატფორმა“ *(ფოტო: დათუაშვილი. ვ, კვლევის ფარგლებში ჩატარებული ექსპედიციის ფარგლებში, თბილისის უკრაინულ სახლი, თბილისი, 2023 წ.).* ელენე ბეზრუჩკოსა და ვალენტინა მარჯანიშვილის მხარდაჭერით უკრაინულ სახლში შენახულია უკრაინული ტრადიციული სამოსის ნიმუშები.

რუსები - საქართველოში რუსების მასობრივი ჩამოსახლება მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო. მანამდე კი მცირე რაოდენობის არსებობაც ფიქსირდება 1772 წელს ივლისში გენერალ სუხოტინის მიერ რუსეთის საექსპედიციო კორპუსის საქართველოდან გაყვანის პროცესში რუსული კორპუსის ჩამორჩენილი დეზერტირების ნაწილი თბილისში დარჩა და ხელოსანთა რიგებს შეუერთდა *(ფოტო: გელა მთივლიშვილი, დუხობორები, სოფელი გორელოვკა, ნინოწმინდა, 2016 წ.).* 1864 წელს რუსეთმა აფხაზეთი რუსეთის იმპერიის სამხედრო ოლქად გამოაცხადა. რუსეთის ხელისუფლებას აფხაზეთი აზიაში რუსეთის შემდგომი წინსვლისთვის ხელსაყრელ საყრდენ პუნქტად მიაჩნდა. ამდენად მან ხელი შეუწყო

მთიელების თურქეთში ემიგრაციას და 35 სოფლის მცხოვრები ათასობით აფხაზი სავარაუდოდ 22 ათასი და სამშობლო იძულებით დაატოვებინა. ეს ზოლი კი რუსეთის იმპერიისთვის სასურველი სანდრო მოსახლეობის დასახლებისთვის შესაძლებელი გახდა. რუსეთის მოსახლეობამ ეს მიწები მსხვილ სამხედრო და სახელმწიფო მოხელეებს დაურიგა. ამ პროცესმა მე-19 საუკუნის 80-90 იან წლებში დიდი მასშტაბი შეიძინა. აფხაზეთის რუსულ ოლქად გადაქცევის მიზნით რუსეთის ხელისუფლება იქ ინტენსიურად ასახლებდა რუს კოლონისტებს. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში რუსი ეთნოსის წარმომადგენლების ჩამოსახლებას ჰქონდა ინტენსიური და ორგანიზებული ხასიათი უფრო მე-19 საუკუნის 60 იანი წლებიდან. 1926 წელს თბილისში 45 937 რუსი ცხოვრობდა. 1939 წელს კი ეს რიცხვი გაორმაგდა.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ სამხედრო, სათავადაზნაურო და სამონასტრო ნაკადის გარდა საქართველოში ასევე შემოდიოდნენ იმპერიის მართლმადიდებელი ეკლესიისგან დევნილი ჯგუფები: დუხობორები, სკოპცები, მალაკნები და სხვ (ე.წ რასკოლნიკები) რომლებიც ძირითადად მე-18 საუკუნის შუა ხანებში წარმოიქმნნენ. მიგრანტებს შორის ყველაზე დიდი რაოდენობით მულიტოპოლსკის ოლქის დუხობორები იყვნენ. 41-45 წლებში დაახლოებით 200 ოჯახი (2 ათასი) შემოვიდა. მათ ჯავახეთში 8 სოფელი დაარსეს. მათი უკანასკნელი ჯგუფი 1875 წელს ჩამოვიდა. თავიანთი მრწამსიდან გამომდინარე დუხობორები უარს ამბობდნენ სახელმწიფო და სამხედრო სამსახურზე, ამიტომ მთავრობამ მათ წინააღმდეგ რეპრესიები დაიწყო. ქართველთა დახმარებით (ნაკაშიძეები, როსტომაშვილები და ჩოლოყაშვილები) 1899 წელს დუხობორების ნაწილი (7370 სული) კანადაში გადასახლდა. 2014 წლის აღწერით - 26.5 ათასი რუსები საქართველოში (0.7%) მაგრამ უკრაინაში განვითარებულმა რუსეთის სრულ მასშტაბიანმა სამხედრო კონფლიქტმა კიდევ უფრო გაზარდა საქართველოში რუსების რიცხვი. საქსტატის ინფორმაციით, 2022 წელს 62,300 რუსეთის მოქალაქე დარჩა საქართველოში საცხოვრებლად, ანუ აღირიცხა როგორც იმიგრანტი. 2023 წლის მიგრაციის მაჩვენებლები მიმდინარე წლის აპრილში გამოქვეყნდება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2023 წელს რუსეთიდან საქართველოში 1,856 ათასი ვიზიტორი შემოვიდა, ხოლო 1,887 ათასი გავიდა.

ამ ეტაპზე დუხობორების რამდენიმე ოჯახი სახლობს ძირითადად მხოლოდ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკაში და მისდევენ ძირითადად მეცხოველეობას. პროექტის გუნდი, კვლევის ფარგლებში სწორედ სოფელ გორელოვკას ობოლთა სახლი/მუზეუმს ეწვია. მუზეუმში ინახება დუხობორების ჯგუფის ტრადიციული სამოსი და პროექტის გუნდს უშუალოდ ადგილზე ჰქონდა შესაძლებლობა დაჰკვირვებოდა და შეესწავლა მოცემული ნიმუშები *(ფოტო: ვაჟა დათუაშვილი, კვლევის ფარგლებში ჩატარებული ექსპედიციის ფარგლებში, თბილისის უკრაინულ სახლი, თბილისი, 2023 წ.).*



ქისტები - ვაინახები - ჩეჩნებისა და ინგუშების საერთო სახელწოდებაა და ნიშნავს „ჩვენს ხალხს“. ამ ეთნონიმით ეს მონათესავე ხალხები თავიანთ თავს ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ეთნოსებისაგან გამოაცალკევებდნენ. ვაინახებს უშუალოდ ემეზობლება ჩრდილოეთ აღმოსავლეთ საქართველოს ერთი მონაკვეთი - თუშეთი, ხევსურეთი და ხევი. XI საუკუნიდან, ვიანახების ის ნაწილი, რომელიც მთიან ზოლში ცხოვრობდა საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა. ამ საქართველოდან გავრცელდა ქრისტიანობა და შესაბამისად ქრისტიანული კულტურის ელემენტები. ქართულ წერილობით წყაროებში თავდაპირველად ვაინახური ტომები კავკასიანებად ან დურძუკებად/ძურძუკებად მოიხსენებიან. გვიან ფეოდალური ხანიდან ქართველთა ლექსიკონში მკვიდრდება ეთნონიმი ქისტი, რომელშიც ჩეჩნების გარდა, ინგუშებიც იგულისხმება. ვაინახების საქართველოში მიგრაციის მთავარ მიზეზებად მკვლევრები ასახელებენ: მწირ მიწის სავარგულებს, სისხლის აღების ტრადიციასა და შამილის მიერ გატარებულ რელიგიურ რეფორმებს.

მოცემული ილუსტრაცია არის ჯონ აბერკრომბის წიგნიდან „მოგზაურობა აღმოსავლეთ კავკასიაში“ წიგნში მიმოხილულია ავტორის მოგზაურობა ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, ძირითადად დაღესტანში, თუმცა მასში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საქართველოს აღწერასაც. წიგნი უხვად არის ილუსტრირებული თავად ავტორის მიერ გადაღებული ფოტოებით, რომლებზეც ასახულია ქართული და კავკასიური ტიპაჟები. წიგნს ასევე ერთვის აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოგრაფიული რუკა *(John Abercromby, A Trip through the Eastern Caucasus, London: Edward Stanford, 1889.).*

(ფოტო: თუმი დიშნის (ნონა ხანგოშვილის), ვაინახების ტრადიციული სამოსი, თბილისი, 2011 წ.).

ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე ვაინახური ეთნიკური ერთეულის შემოდინება თავდაპირველად ძვ. წ. III საუკუნეში აღინიშნა, თუმცა ვაინახების გადმოსახლების ინტენსიური პროცესი XIII საუკუნეში შეინიშნება ხოლო XVIII – XIX საუკუნის შუა წლებამდე განსაკუთრებით გააქტიურდა. პირველი ნაკადები თიანეთის მაზრის სოფელ ხორბალოს ტერიტორიაზე ფუძნდება. 1901 წლის აღწერით პანკისში ცხოვრობდა ქისტების 291 კომლი. 2014 წლის მოსახლეობის აღწერით

საქართველოში ცხოვრობს 5697 ქისტი. პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები, ძირითადად სუნიტური ისლამის აღმსარებლები არიან. პანკისელი ქისტებისთვის ქართული მეორე მშობლიურ ენად იქცა. 2016 წელს ქისტების მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს განათლების მინისტრის გადაწყვეტილებით ქისტურ სოფლების სკოლებში შემოიღეს ჩეჩნური ენის სწავლება.

ქისტების ტრადიციული სამოსი საქართველოში თანდათან კახეთში გავრცელებულმა ტანსაცმელმა შეცვალა. ქალებს თმა გრძლად აქვთ დაყენებული და თავსაბურავი ახურავთ, რომლის გარეშეც საზოგადოებაში არ გადიან.

პროექტის გუნდი, კვლევის ფარგლებში ეწვია პანკისის ეთნოგრაფიულ მუზეუმს სადაც დაცულია ქისტების ტრადიციული სამოსის ნიმუშის შემადგენელი ნაწილები. აქვე აღსანიშნავია, რომ USAID-ის მხარდაჭერით მუზეუმის მახლობლად ფუნქციონირებს სამკერვალო ოთახი სადაც იკერება ქისტების ტრადიციული სამოსი. აქ შენახულ სამოსის ნიმუშებსა და ესკიზებზე დაკვირვება პროექტის გუნდს ძალიან დაეხმარა საჭირო მიგნებების გაკეთებისთვის.

ეთნიკური შემადგენლობა	სულ	პროცენტი
აზერბაიჯანელი	233,024	6.27%
სომეხი	168,102	4.53%
რუსი	26,453	0.71%
იეზიდი	12,174	0.33%
ქურთი	1,596	0.04%
უკრაინელი	6,034	0.16%
ქისტი	5,697	0.15%
ბერძენი	5,544	0.15%
ასირიელი	2,377	0.06%
ებრაელი	1,405	0.04%
ავარი	1,060	0.03%
გერმანელი	438	0.01%
უდინი	174	0.00%
სხვა ეროვნება	4,240	0.11%
არ არის მითითებული	1,104	0.03%

საქართველოს ეთნიკური ჯგუფები

2014 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით

და ეთნიკური უმცირესობების განსახლების რუკა

(მომზადებულია ეთნიკურობისა და

მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის მიერ)


ETHNIC GROUPS OF GEORGIA
Map Series by the Centre for the Studies of Ethnicity and Multiculturalism, June 2016
TBILISI (ETHNIC GROUPS IN CITY DISTRICTS)
RUSSIAN FEDERATION
TURKEY
ARMENIA
AZERBAIJAN
CSEM
ASCN
GEOgraphic

გამოყენებული ლიტერატურა:

არტურ ვანიურას ილუსტრაცია (გერმანელი მხატვრი და გრავიორი) თბილისელი მუსლიმი ქალების გამოსახულებით, ქალთა ცხოვრება დედამიწაზე. 1881.

გაეროს 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი ,,სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ".

ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ,,ეროვნული უმცირესობათა დაცვის შესახებ". (1.02.1995). სტრასბურგი.

რადიო კომერსანტი (19.02.2024). საქართველოში შემოსული ყოველი მე-5 ვიზიტორი რუსეთის მოქალაქეა. ხელმისაწვდომია ბმულზე - https://commersant.ge/news/politc/saqartveloshi-shemosuli-yoveli-me-5-vizitori-rusetis-moqalaqea, ბოლო ნახვა 29.03.2024.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის #2/8/366 განჩინება საქმეზე - იურიდიული პირები – ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა, ვეტერანთა და ომის მონაწილეთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კავშირი "მიზანი-2005"-ის თავმჯდომარე – ნოდარ ცოტნიაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. პარ.4.

ტოწკოინოვი. ნ. უდი ვართაშენიდან ფოტო, რუზანა პოლადოვას ფოტო არქივი, XX საუკუნის დასაწყისი.

ფოტო: დათუაშვილი. ვ, კვლევის ფარგლებში ჩატარებული ექსპედიციის ფარგლებში, ბიტკაშების ოჯახი, თბილისი, 2023 წ.

ფოტო: დათუაშვილი. ვ, კვლევის ფარგლებში ჩატარებული ექსპედიციის ფარგლებში, თბილისის უკრაინულ სახლი, თბილისი, 2023 წ.

ფოტო: დათუაშვილი. ვ, კვლევის ფარგლებში ჩატარებული ექსპედიციის ფარგლებში, ცეკვის ანსამბლი „ჯავახკი", ახალქალაქი, 2023 წ.

ფოტო: თუმი დიშნი (ხანგოშვილი. ნ), ვაინახების ტრადიციული სამოსი, თბილისი, 2011 წ.

ფოტო: მთივლიშვილი. გ, დუხობორები, სოფელი გორელოვკა, ნინოწმინდა, 2016 წ.

ფოტო მოპოვებულია ეკატერინე ბიტკაშისა და ლუდმილა ბიტკაშის საოჯახო ფოტო არქივიდან, ანსამბლის „ნინევია", 1980-90 იანი წლები.

ფოტო: როინაშვილი ა. (როინოვი), უდი ქალი ტრადიციულ სამოსში, სავარაუდოდ - სოფ. ვართაშენი, XIX საუკუნე.

ფრედერიკ შობერლის მინიატურა წიგნიდან, სამყარო მინიატურაში: სპარსეთი, ლონდონი: დაბეჭდილი რ. აკერმანისთვის, ხელოვნების საცავი, 1822 წ.

Article 1, Declaration on the Rights of Persons Belonging to National or Ethnic, Religious and Linguistic Minorities. General Assembly resolution 47/135, 18.12.1992.

Antoin Sevruguin. The 'Juive' wife of a Kurdish chieftain, Memont Bement Smith Collection. Arthur M. Sackler Gallery Archives, Smithsonian Institution, Washington D.C. 1890-95

The Universal Geography: The Earth and its Inhabitants. (1881). Edited by A. H. Keane. London: J. S. Virtue & Co., Limited. Vol. VI.

European Commission for Democracy through Law (Venice Commission). (2006). Report on non-citizens and minority rights, 69th Plenary Session.

Europa. (1897). Eine allgemeine Landeskunde von Alfred Philippson und eine große Auswahl von Leipzigund Wien. Bibliographisches Institut.

From Les Costumes Populaires De La Turquie. (1873). taken by French photographer Pascal Sebah at the universal exposition, Two Kurds with an Armenian Catholic cleric (middle).Vienna.

John Abercromby. (1889). A Trip through the Eastern Caucasus. London: Edward Stanford.

Les nations. Album des Costumes De Tous les Pays. Par Alexandre Lacauchie. Paris. Maison Martinet. Haute Cœur frères 41, Rue Vivienne et 146, Rue de Rivoli 1850s.

REFERENCES

art'ur vaniuras ilust'ratsia (germaneli mkhat'vri da graviori), tbiliseli muslimi kalebis gamosakhulebit, kalta tskhovreba dedamits'aze. 1881 ts'. [Illustration by Arthur Vaniura (German artist and engraver) depicting Muslim women from Tbilisi, Women's Life on Earth. 1881.].

gaeros 1966 ts'lis 16 dek'embris saertashoriso p'akt'i „samokalako da p'olit'ik'uri uplebebis shesakheb“. [The United Nations International Covenant on Civil and Political Rights of December 16, 1966.].

evrop'is sabch'os charcho k'onventsia „erovnuli umtsiresobata datsvis shesakheb“. st'rasburgi, 1.02.1995. [Council of Europe Framework Convention for the Protection of National Minorities (1.02.1995). Strasbourg.].

radio k'omersant'i – (19.02.2024). sakartveloshi shemosuli qoveli me-5 vizit'ori rusetis mokalakea. khelmisats'vdomia bmulze - https://commersant.ge/news/politc/saqartveloshi-shemosuli-yoveli-me-5-vizitori-rusetis-moqalaqea, bolo nakhva 29.03.2024. [Radio Commersant (19.02.2024). Every 5th visitor to Georgia is a Russian citizen. Available at the link - https://commersant.ge/news/politc/saqartveloshi-shemosuli-yoveli-me-5-vizitori-rusetis-moqalaqea, last viewed 29.03.2024.].

sakartvelos sak'onst'it'utsio sasamartlos 2006 ts'lis 31 mart'is #2/8/366 ganchineba sakmeze - iuridiuli p'irebi – dzalovani st'rukt'urebis tanamshromelta, vet'eranta da omis monats'ileta uplebebis datsvis saertashoriso k'avshiri ”mizani-2005”-is tavmjdomare – nodar tsot'niashvili da skhvebi sakartvelos p'arlament'is ts'inaaghmdeg; p'ar.4. [Constitutional Court of Georgia, March 31, 2006, Ruling #2/8/366 on the case - Legal Entities - Chairman of the International Union for the Protection of the Rights of Law Enforcement Officers, Veterans and War Participants "Mizani-2005" - Nodar Tsotniashvili and Others v. Parliament of Georgia. Para.4.].

t'ots'k'oinovi. n. udi vartashenidan pot'o, ruzana p'oladovas pot'o arkivi, XX sauk'unis dasats'qisi. [Totskoinov. N. Photo from Udi Vartasheni, Ruzana Poladova photo archive, early 20th century.].

pot'o: datuashvili. v, k'vlevis parglebshi chat'arebuli eksp'editsiis parglebshi, bit'k'ashebis ojakhi, tbilisi, 2023 ts'. [Photo: Datuashvili. V, taken as part of the research expedition, the Bitkash family, Tbilisi, 2023.].

pot'o: datuashvili. v, k'vlevis parglebshi chat'arebuli eksp'editsiis parglebshi, tbilisis uk'rainul sakhli, tbilisi, 2023 ts'. [Photo: Datuashvili. V, as part of the research expedition, Ukrainian House of Tbilisi, Tbilisi, 2023].

pot'o: datuashvili. v, k'vlevis parglebshi chat'arebuli eksp'editsiis parglebshi, tsek'vis ansambli „javakhk'i", akhalkalaki, 2023 ts'. [Photo: Datuashvili. V, as part of the research expedition, dance ensemble "Javakhki", Akhalkalaki, 2023.].

pot'o: tumi dishni (khangoshvili. n), vainakhebis t'raditsiuli samosi, tbilisi, 2011 ts'. [Photo: Tumi Dishni (Khangoshvili. N), Traditional Vainakh clothing, Tbilisi, 2011.].

pot'o: mtivlishvili. g, dukhoborebi, sopeli gorelovk'a, ninots'minda, 2016 ts'. [Photo: Mtivlishvili. G, Doukhobors, Gorelovka village, Ninotsminda, 2016.].

pot'o mop'ovebulia ek'at'erine bit'k'ashisa da ludmila bit'k'ashis saojakho pot'o arkividan, ansamblis „ninevia", 1980-90 iani ts'lebi. [Photo taken from the family photo archive of Ekaterine Bitkash and Lyudmila Bitkash, ensemble "Ninevia", 1980-90s.].

pot'o: roinashvili a. (roinovi), udi kali t'raditsiul samosshi, savaraudod - sop. vartasheni, XIX sauk'une. [Photo: Roinashvili A. (Roinov), Udi woman in traditional dress, presumably - village of Vartasheni, 19th century.].

prederik' shoberlis miniat'ura ts'ignidan, samqaro miniat'urashi: sp'arseti, londoni: dabech'dili r. ak'ermanistvis, khelovnebis satsavi, 1822 ts'. [Miniature from the book, The World in Miniature: Persia, by Frederick Schoberl, London: Printed for R. Ackerman, Art Depository, 1822.].

Article 1, Declaration on the Rights of Persons Belonging to National or Ethnic, Religious and Linguistic Minorities. General Assembly resolution 47/135, 18.12.1992.

Antoin Sevruguin. The 'Juive' wife of a Kurdish chieftain, Memont Bement Smith Collection. Arthur M. Sackler Gallery Archives, Smithsonian Institution, Washington D.C. 1890-95

The Universal Geography: The Earth and its Inhabitants. (1881). Edited by A. H. Keane. London: J. S. Virtue & Co., Limited. Vol. VI.

European Commission for Democracy through Law (Venice Commission). (2006). Report on non-citizens and minority rights, 69th Plenary Session.

Europa. (1897). Eine allgemeine Landeskunde von Alfred Philippson und eine große Auswahl von Leipzigund Wien. Bibliographisches Institut.

From Les Costumes Populaires De La Turquie. (1873). taken by French photographer Pascal Sebah at the universal exposition, Two Kurds with an Armenian Catholic cleric (middle).Vienna.

John Abercromby. (1889). A Trip through the Eastern Caucasus. London: Edward Stanford.

Les nations. Album des Costumes De Tous les Pays. Par Alexandre Lacauchie. Paris. Maison Martinet. Haute Cœur frères 41, Rue Vivienne et 146, Rue de Rivoli 1850s.